

კომუნიკაცია

თქვენი ბავშვი სწრაფად იმახსოვრებს გაგონილ სიტყვებს, ცუდაც და კარგაც. ის სხვადასხვა სიტყვას აერთიანებს და ქმნის ფრაზებს. მისი წარმოთქმული სიტყვების უმეტესობა სხვებისთვის გასაგებია. შესაძლოა მან მარტივი სიმღერებიც იმღეროს. მან უკვე გამოსცადა ისეთი სიტყვების ძალა, როგორცაა „არა“ და „ჩემია“.

წინდის თოჯინა

წამოიცივით სუფთა წინდა ხელზე და აალაპარაკეთ წინდის თოჯინა: „გამარჯობა, მე გიომქვია. მე შენთან მოვედი. შენ რა გქვია?“ თქვენი ბავშვი გიპასუხებთ ან ხელს მოჰკიდებს თოჯინას. წინდის თოჯინას გააგზავნიეთ კოცნა თქვენი ბავშვისთვის.

შენების დრო

სხვადასხვა ნივთების გამოყენებით გააკეთეთ წარმოსახვითი აეროპორტი, ქუჩა ან უბანი. ლენტი იყოს გზა. შვრიის კოლოფი შესაძლოა გვირბად გამოგადგეთ. საკვების სხვა ყუთები გამოიყენეთ შენობების მაგივრად. მისალოცი ბარათებისგან გააკეთეთ ასასვლელი გზა მანქანებისთვის. პატარა სათამაშო მანქანა გაატარეთ გვირაბში, ხიდის ქვეშ ან შენობასთან. ამ თამაშის დრო გამოიყენეთ ახალი სიტყვები.

წიგნებით გართობა

აიღეთ დიდსურათებიანი წიგნი ან ჟურნალი, თითოთ მიუთითეთ ნახატზე და ჰკითხეთ, რასაც ხედავს: „სად არის ძაღლი“ და მიათითებინეთ ნახატზე. „წააკითხეთ“ წიგნი ისე, როგორც ოჯახის რომელიმე წევრი, მაგალითად ბაბუა უკითხვას ხოლმე. თუ თქვენმა ბავშვმა ტულაეტიტ სარგებლობის სწავლა დაიწყო, შეგიძლიათ შეუტანოთ და იქვე დაუდოთ წიგნებიანი კალათა „წასაკითხად“.

ექსკურსია

თქვენს ბავშვს მოსწონს ახალ ადგილებში, თუნდაც ახალ მაღაზიაში წასვლა. ეს საუკეთესო საშუალებაა ახალი სიტყვების სწავლისთვის. ესაუბრეთ ყველაფერზე, რასაც ხედავთ: „შეხედე, იმ ხილს ქვია ატამი. შეხედე რამხელა მაცივარია. დაადე ხელები, როგორი ცივია.“

ერთად სიმღერა

თქვენ ბავშვს მოეწონება ისეთი მარტივი სიმღერის სწავლა, როგორცაა მაგალითად “ჟუჟუმა წვიმა მოვიდა“ ან სხვა. ასწავლეთ მას თქვენს ბავშვობაში ნასწავლი მარტივი სიმღერები. იმღერეთ ერთად. მოგვიანებით შესთავაზეთ, რომ უმღეროს ოჯახის რომელიმე წევრს.

საუბარი მანქანების შესახებ

ესაუბრეთ თქვენს პატარას მანქანების შესახებ, როცა იქ ჯდებით ან გადმოდიხართ. უთხარით, რასაც აკეთებთ: „მოდით, მანქანის კარი გავაღოთ და ჩავჯდეთ. მამა ახლა კარებს დახურავს. ნახე შუქი აინთო. გესმის ძრავის ხმა? წავედით!“ მალე თქვენ პატარას ყველაფერი ეცოდინება მანქანის შესახებ.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენი ბავშვი სულ უფრო და უფრო საქმიანია და სწრაფად მოქმედებს! ის დარბის, იქნევს ფეხს, ხტუნავს. მისი ფეხის კუნთები თანდათან უფრო ძლიერი ხდება. ის უკვე კიბეებზეც ადის და ჩამოდის რიკულეებზე ხელის მოკიდებით. მას სიამოვნებს ახალი მოძრაობების და ახალი უნარების სწავლა. მას ძალიან უყვარს აძრომა, ამიტომ ყურადღებით იყავით!

ბაყაყივით ხტუნვა

ხელი მოჰკიდეთ პატარას და დაეხმარეთ, რომ გადმოხტეს კიბის დაბალი საფეხურიდან. შემდეგ მიეცით საშუალება, რომ გააკეთოს ეს დამოუკიდებლად. როცა ამის გაკეთებას შეძლებს, აჩვენეთ თუ როგორ უნდა გადაახტეს რამეს, მაგალითად რძის პატარა კოლოფს. აუცილებლად შეაქეთ: „შენ უკვე კურდღელივით დახტხარ.“

ბოულინგი

დაულაგეთ ბოულინგის ჯოხები (რისთვისაც გამოიყენეთ რძის ან კეფირის პლასტმასის ბოთლები) და ასროლინეთ საშუალო ზომის „ბურთი“ (დაჭმუჭნული და ერთმანეთზე დახვეული გაზეთის ფურცლები), რომ ეს „ჯოხები“ წააქციოს.

წონასწორობის ვარჯიში

ხელი მოჰკიდეთ პატარას და სთხოვეთ, რომ დადგეს ცალ ფეხზე. შემდეგ სთხოვეთ, დადგეს მეორე ფეხზე. სცადეთ იგივე, ოღონდ ხელის მოკიდების გარეშე და დაითვალეთ რამდენი წამი შეძლებს გაჩერებას. ხშირად ივარჯიშეთ, რომ გაზარდოთ დრო.

მანქანის ტარება

ჩასვით თქვენი პატარა უპედლო სათამაშო მანქანაში და დაეხმარეთ, რომ გაატაროს. ამით ის მოძრაობების გაკონტროლებას ისწავლის და ფეხის კუნთებსაც გაავარჯიშებს. მოგვიანებით ის სამთვლიანი ველოსიპედის გატარებასაც შეძლებს.

ცეკვა

დაუკარით სხვადასხვა ტიპის მუსიკა: სალსა, ჰიპ-ჰოპი, კლასიკა, ჯაზი. იცეკვეთ და აყევით მუსიკას თქვენ პატარასთან ერთად. ზოგჯერ ხელში აიყვანეთ და ისე ჩაიკარით, რომ თქვენი მოძრაობები კარგად შეიგრძნოს. უმეტესად მიეცით საშუალება, დამოუკიდებლად, თავისთვის იცეკვოს. მას შესაძლოა ყელსახვევებით და ლენტებით ცეკვა უფრო მოეწონოს. ცეკვის დროს ზარების და ჟღარუნების გამოყენებითაც ძალიან გაერთობა.

სათამაშო მოედანზე

გადით სათამაშო მოედანზე და გაერთეთ. ირბინეთ, იქანავეთ და იცოცეთ. გზაში ივარჯიშეთ ქვაზე ან ბორდიულზე გადაბიჯებაში, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლაში.

წითელი აინთო, მწვანე აინთო

გადით უსაფრთხო ღია ადგილას და იქ ითამაშეთ ეს თამაში. ხელი მოჰკიდეთ და უთხარით: „მწვანე შუქზე იწყება სირბილი“ და ერთად გაიქცეთ. შემდეგ უთხარით: „წითელი შუქი აინთო“ და უცებ გაჩერდით. როდესაც ის ამ თამაშს კარგად გაიგებს, უკვე თავად გამოიქცევა თქვენსკენ, როდესაც ეტყვით: „მწვანე შუქი აინთო“. თქვენი გაშლილი ხელები კი მისთვის ფინიშის ხაზი იქნება.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენ ბავშვს მოსწონს ისეთი თამაშები, რომელიც მის პატარა კუნთებს ანვითარებს. მას უყვარს პატარა სათამაშოების ერთმანეთზე დაწყობა და აშენება. ის უკვე ფანქარს ცერა თითის დახმარებით იჭერს და შეუძლია წრის და ხაზის გავლება. თანდათან უფრო უკეთ ახერხებს ბურთულების მძივად აცმას და ერთდროულად ორივე ხელის გამოყენებას.

კოშკის აშენება

თქვენი პატარა კარგად ერთობა, როცა პატარა სათამაშოებს ერთმანეთზე დააწყობს და შემდეგ დაანგრევს. კოშკის ასაშენებლად მიეცით პატარს კუბები, პლასტმასის ჭურჭელი, პატარა ყუთები ან ნებისმიერი რამ, რისი ერთმანეთზე დალაგებაც უსაფრთხოდ შეიძლება. დაითვალეთ, რამდენი საგნის ერთმანეთზე დადებას შეძლებს და რა სიმაღლის კოშკს ააშენებს.

მძივის აცმა

გააკეთეთ ყელსაბამი მძივის ბურთულებისგან, მაკარონისგან, მრგვალი ბურღულისგან. ეცადეთ ამ პროცესში ის ორივე ხელით იყოს ჩართული. შეკარით ბოლოები და აჩუქეთ ეს ყელსაბამი ვინმეს - ბავშვისთვის მნიშვნელოვან ადამიანს.

საოჯახო ალბომი

გაუკეთეთ პატარას სურათების ალბომი, სადაც ჩააკრავთ თქვენი ოჯახის წევრების, მეგობრების და თქვენი ძაღლის/კატას სურათებს. აირჩიეთ რომელიმე სურათი და ესაუბრეთ მის შესახებ. მიეცით ბავშვს საშუალება, თვითონ აირჩიოს და ისაუბროს სურათის შესახებ. კარგი იქნება თუ პატარა თავის ალბომს სტუმრებსაც დაათვალიერებინებს ხოლმე.

ფაზლის აწყობა

აჩვენეთ თქვენ პატარას თუ როგორ უნდა მარტივი ფაზლის აწყობა. ამისთვის შეგიძლიათ რაიმე მუყაოს ყუთი დაჭრათ და მისგან ორ- ან სამნაწილიანი ფაზლი გააკეთოთ. თავიდან შეიძლება დახმარება დასჭირდეს. წახალისეთ მონდომებისთვის: “ყოჩაღ, შენ ამის გაკეთება შეგიძლია.”

წერილი და საყიდლების სია

როდესაც რაიმე წერილს წერთ ან საყიდლების სიას ადგენთ, დაისვით პატარა თქვენს გვერდით, მიეცით ფერადი ფანქარი და ფურცელი წერილის დასაწერად და უთხარით: „მე წერილს ვწერ ბებიას. შენც შეგიძლია მიწერო“. გააგზავნეთ ეს წერილი თქვენს წერილთან ერთად. შესაძლოა ბებიამ პასუხიც მოიწეროს!

ხილის სალათი

მიეცით პატარას პლასტმასის დანა ისეთი ხილის დასაჭრელად, როგორცაა ბანანი ან ატამი. შეგიძლიათ მოიხმაროთ ბავშვი იოგურტის ქილიდან გადმოღებაში, ქიშმიშის მოყრაში ან სალათის მორევაში. არ დაგავიწყდეთ ოჯახის წევრებს უთხრათ, რომ სალათი პატარამ მოამზადა.

საუზმის მომზადება

თქვენს ბავშვს ესამოვნება საკუთარი თავისთვის საუზმის მომზადება. მას შეუძლია თავი მოხსნას ქილას, გახსნას რძის ბოთლი, პურზე გადაუსვას კარაქი ან მურაბა, ამოიღოს ვაშლის პიურე ან სხვა. რაც უფრო ხშირად გააკეთებს (თქვენი დახმარებით), მით უფრო მალე ისწავლის და მოხერხებული იქნება.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენს ბავშვს ძალიან აინტერესებს თავისი სხეულის ნაწილები და მათი ფუნქციები. მას უკვე შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს საგნები და ერთ ჯგუფში გაერთიანოს. ის ხვდება, რომ კატის სურათი ნამდვილ კატას შეესაბამება და სწავლობს საგნების დანიშნულებას. მისი გონება ცდილობს ჩაწვდეს იმ ყველაფრის არსს, რასაც ხედავს ან თავის თავზე გამოცდის.

ჩაყრა და გადმოსხმა

ავარჯიშეთ თქვენი პატარა გადმოსხმასა და ჩაყრაში. წყალში ან ქვიშაში სათამაშოდ მიეცით პლასტმასის ყუთი ან ბოთლი. დაუყარეთ დიდ ლანგარზე ან ყუთში უმი ბრინჯი ან პოპკორნი და მიეცით ხელსაწყოები: ნიჩაბი და კონტეინერი. ამ თამაშის დროს ესაუბრეთ, რასაც აკეთებს და გამოიყენეთ ახალი სიტყვები: ცარიელი, სავსე, გადმოსხმა, ნიჩბით აღება.

სახლის დამლაგებელი

ითამაშეთ წარმოსახვითი თამაში „სახლის დამლაგებლობა“. გამოუყავით ამისთვის ცალკე ყუთი, რომელშიც ჩაუწყობთ დალაგებისთვის საჭირო ისეთ ნივთებს, როგორც არის: ჯაგრისი, პატარა პირსახოცი, პატარა ცოცხი და ღრუბელი. მას შეუძლია წარმოიდგინოს, ვითომ მაგიდა გადაწმინდა, ვითომ კედელი შეღება, ვითომ ბაღში იმუშავა ან ვითომ იატაკი მოასუფთავა. ესაუბრეთ იმაზე, რასაც აკეთებს და მის შედეგზე: „რა სუფთად გამოიყურება იატაკი“.

აბა გაიმეორე

ბანაობის დროს ან კალთაში ჯდომის დროს ითამაშეთ “აბა გაიმეორე“ თამაში. „მე თვალებს ვახამხამებ, აბა შენც დაახამხამე“. „მე შემოდლია ტაშის დაკვრა, შენ შეგიძლია ტაში დაუკრა?“ გააკეთეთ რამე სულელური და სასაცილო.

ექიმობა

უთხარით თქვენ პატარას, რომ თოჯინა ავად გახდა. მოაწყვეთ ექიმის კაბინეტი, გადააფარეთ დაბალ მაგიდას ზეწარი და გადააქციეთ ის გასასინჯ მაგიდად. რაიმე ქსოვილის ნაჭერი, ცხვირსახოცი ან ლენტი გამოიყენეთ შესახვევ ბინტად. თუ თოჯინას ხელი სტკივა, შეუხვიეთ. მას ნუგეშიც დასჭირდება და ამიტომ ნაზად ჩაიხუტეთ.

წაღმა-უკულმა

საუზმის დროს ამოატრიალეთ ჭიქა ან საკვების ყუთი. დააკვირდით პატარას, თუ შეამჩნევს ამას და თუ ეცდება, რომ ჭიქა გაასწოროს. სცადეთ იგივე სხვა ნივთებზეც. როცა კითხულობთ დაიჭირეთ წიგნი უკულმა და დაელოდეთ, რას იზამს თქვენი პატარა. იმხიარულეთ ამ სასაცილო თამაშით.

მატარებლის ლიანდაგი

დიდ ფურცელზე გაავლეთ ორი გრძელი ჰორიზონტალური ხაზი. შემდეგ აჩვენეთ თქვენს პატარას თუ როგორ უნდა ვერტიკალური ხაზის გავლება. გაავლებინეთ მასაც ვერტიკალური ხაზები. ეს ხაზები მატარებლის ლიანდაგებს წააგავს. მოიტანეთ მანქანები ან მატარებელი და ატარეთ ამ ლიანდაგებზე.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენი პატარა დამოუკიდებელი ხდება. მას სურს ყველაფრის თავისით კეთება იმის მიუხედავად, რომ ამის უნარი ჯერ არ აქვს. მას სურს ყველაფრის მაშინვე და სწრაფად მიღება. თუ ეს ასე არ ხდება, ადვილად ღიზიანდება. მას უყვარს სხვა ბავშვებთან ახლოს თამაში, თუმცა ნივთების გაზიარებისთვის ჯერ მზად არ არის.

დათუნისა საწოლი

პატარა ყუთისგან გაუკეთეთ საწოლი დათუნის ან სხვა რბილ სათამაშოს. ტანსაცმლისგან ან პატარა პირსახოცისგან გააკეთეთ საბანი და ბალიში. ბავშვი დაამინებს ხოლმე სათამაშოს. შეუძლია მას ზღაპრები წაუკითხოს და ჩააწვიოს თავის ახალ საწოლში. კოცნა არ დაგავიწყდეთ.

სხვა ბავშვებთან თამაში

სხვებთან ერთად რომ ითამაშოს, თქვენ პატარას თქვენი დახმარება სჭირდება, თუმცა სხვა ბავშვებთან ყოფნა ძალიან უყვარს. იქონიეთ ერთნაირი სათამაშოები, რაც მათთან ურთიერთობაში დაეხმარება. რამდენიმე ერთნაირი მანქანის ან თოჯინის გაზიარება უფრო ადვილია, ვიდრე როდესაც მხოლოდ ერთი გაქვს. აუცილებლად აღნიშნეთ, რომ ის კარგად თამაშობს სხვა ბავშვთან: “შენ ნიკუმას მანქანა ათხოვე.”

ჩაცმა

ყუთში ან ჩანთაში ჩააწყვეთ ისეთი ტანსაცმელი, რომლის ჩაცმაც ადვილია, მაგალითად, ქუდები და ფეხსაცმელები. თავიდან თქვენს პატარას გაუჭირდება დამოუკიდებლად ჩაცმა, თუმცა მაინც იხალისებს. ჩაახედეთ სარკეში და უთხარით: “შეხედეთ ამ ლამაზად ჩაცმულ დიდ გოგოს, ნუთუ ეს ელენეა?”

სახლობანა

გააკეთეთ სახლის მარტივი ავეჯი. აიღეთ ყუთი და დაახატეთ ცეცხლი, ვითომ ღუმელია. პატარა მაგიდაზე დადეთ პლასტმასის თასი, ვითომ ჭურჭლის სარეცხი ნიჟარაა. დააწყვეთ თოჯინები და რბილი სათამაშოები, დაალაგეთ პლასტმასის თევზები, ჭიქები და სხვა ჭურჭელი. დაეხმარეთ, რომ მოამზადოს სადილი და „გამოაცხოს“ თავის ღუმელში. ისაუბრეთ, რასაც აკეთებთ. ის იყოს ლიდერი და თქვენ აყევით თამაშში. იმხიარულეთ და გაერთეთ ერთად!

პიკნიკი

მომეზნეთ შესაფერისი ადგილი, სადაც პიკნიკზე წასვლას შემდეგ თქვენს პატარასთან ერთად. ამისთვის პარკი ან სათამაშო მოედანი კარგია, თუმცა სახლიც კარგი ადგილია პიკნიკის მოსაწყობად. მოამზადებინეთ რაიმე მარტივი საჭმელი და სასმელი პიკნიკისთვის. შეიძლება რომელიმე რბილ სათამაშო ცხოველსაც მოუნდეს თქვენთან ერთად წამოსვლა. ავარჯიშეთ ბავშვი დამოუკიდებლად ჭამაში.

ხელების დაბანა

ასწავლეთ თქვენს პატარას ხელების დაბანა. გააკეთეთ ეს ჭამის წინ, ჭამის შემდეგ და ძილის წინ. იქვე იყავით, როდესაც სწავლობს სკამზე დადგომას, წყლის მოშვებას, საპნის წასმას, წყლის გადავლებას და ხელების გამშრალებას. სიმღერა ამ პროცესს კიდევ უფრო სახალისოს გახდის: “ჭუპა-ჭუპა, წყალი მალე, პირი უკვე დავიბანე, ხელებსაც დავიბან სანამ საჭმელს შევჭამ.”

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.